

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №24

2023 წლის 20 დეკემბერი

ქ. დედოფლისწყარო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლის საფუძველზე და „ნორმატიული აქტის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №23 დადგენილება (www.matsne.gov.ge. 23/12/2022 სარეგისტრაციო კოდი:190020020.35.169.016521).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ნუგზარ პაპიაშვილი

დანართი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი

თავი I

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბიუჯეტის ბალანსი შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	20531,2	10978,8	9552.4	18319.5	6518.9	11800.6	11,994.0	0.0	11,994.0



გადასახადები	6434.8	0.0	6434.8	8850.6	0.0	8850.6	10312.4	0.0	10312.4
გრანტები	12779,6	10978,8	1800.8	7163.9	6518.9	645.0	181.6	0.0	181.6
სხვა შემოსავლები	1316.8	0.0	1316.8	2305,0	0.0	2305,0	1,500.0	0.0	1,500.0
ხარჯები	9739,7	158.6	9581,1	11644.6	311,8	11332.8	12750,4	0.0	12750,4
შრომის ანაზღაურება	2480.3	0.0	2480.3	2854.9	0.0	2854.9	3018,0	0.0	3018,0
საქონელი და მომსახურება	943.3	137,8	805.5	1470,2	311.8	1158.4	1109.5	0.0	1109.5
პროცენტი	26.4	0.0	26,4	30,5	0.0	30,5	30.5	0.0	30.5
სუბსიდიები	5560,0	0.0	5560,0	6434.9	0.0	6434.9	7510,0	0.0	7510,0
გრანტები	75.0	0.0	75.0	70.0	0.0	70.0	70.0	0.0	70,0
სოციალური უზრუნველყოფა	337.2	0.0	337,2	401.0	0.0	401.0	629,4	0.0	629,4
სხვა ხარჯები	317.5	20.8	296.7	375.0	0.0	375,0	383,0	0.0	383,0
საოპერაციო სალდო	10791,5	10820,2	-28,7	6674.9	6207.1	467.8	-756,4	0.0	-756,4
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6059,1	6051,7	7,4	11912.7	11554.9	357.8	956.0	0.0	956.0
ზრდა	6914,0	6051.7	862,3	12319,4	11554,9	764.5	1056.0	0.0	1056.0
კლება	854.9	0.0	854.9	406.7	0.0	406.7	100.0	0.0	100.0
მთლიანი სალდო	4732.4	4768,5	-36.1	-5,237.8	-5347.8	110.0	-1712,4	0.0	-1712,4
ფინანსური აქტივების ცვლილება	4,679.1	4768.5	-89.4	-5,291.3	-5,347.8	56.5	-1766,0	0.0	-1766,0
ზრდა	4768,5	4768,5	0.0	56.5	0.0	56.5	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	4768,5	4768,5		56.5	0,0	56.5	0.0	0.0	0.0
კლება	89.4	0	89.4	5,347.8	5,347.8	0	1766,0	0.0	1766,0
ვალუტა და დეპოზიტები	89.4	0	89.4	5,347.8	5,347.8	0	1766,0	0.0	1766,0



ვალდებულებების ცვლილება	-53,3	0.0	-53,3	-53.5	0.0	-53.5	-53.6	0.0	-53.6
კლება	53,3	0.0	53,3	53.5	0.0	53.5	53.6	0.0	53.6
საშინაო	53,3	0.0	53,3	53.5	0.0	53.5	53.6	0.0	53.6
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	21,386.1	18,726.2	6,518.9	12207.3	12,094.0	0.0	12,094.0
შემოსავლები	20,531.2	18,319.5	6,518.9	11,800.6	11,994.0	0.0	11,994.0
არაფინანსური აქტივების კლება	854.9	406.7		406.7	100.0	0.0	100.0
გადასახდელები	16,707.0	24017.5	11,866.7	12150.8	13860.0	0.0	13860.0
ხარჯები	9739.7	11,644.6	311.8	11,332.8	12750.4	0.0	12750.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	6914.0	12,319.4	11,554.9	764.5	1,056.0	0.0	1,056.0
ვალდებულებების კლება(კლება)	53,3	53.5		53.5	53.6	0.0	53.6
ნაშთის ცვლილება	0.0	0.0	0.0	0.0	0	0.0	0

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსავლები 11 994.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის

ათასი ლარი

	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა		2024 წლის პროექტი	



დასახელება	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	20,531.2	18319,5	6518,9	11,800.6	11,994.0	0.0	11,994.0
გადასახადები	6,434.8	8850,6	0,0	8850,6	10,312.4	0.0	10,312.0
გრანტები	12,779.6	7163,9	6518,9	645.0	181.6	0.0	181.6
სხვაშემოსავლები	1,316.8	2,305,0	0,0	2,305.0	1,500.0	0.0	1,500.0

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 10312,4,0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	6,434.8	8850,6	0,0	8850,6	10,312.4	0.0	10,312.4
საშემოსავლო გადასახადი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	2,832.1	5107,2	0,0	5107,2	6412.4	0.0	6412.4
ქონების გადასახადი	3,602.7	3743,4	0.0	3743,4	3900,0	0.0	3900,0
საქართველო საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	650.3	823,4	0.0	823,4	900.0	0.0	900.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	14.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	2,793.6	2880.0	0.0	2880,0	2,960.0	0.0	2,960.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	144.4	40.0	0.0	40.0	40.0	0.0	40.0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის შემოსავლები გრანტებიდან (ტრანსფერები) განისაზღვროს 181,6 ათასი ლარის ოდენობით,



დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლისგეგმა	2024 წლის პროექტი
გრანტები	12,779.6	7163,9	181.6
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული	90.8	0	0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	12,688.8	7163,9	181.6
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	710.0	645,0	181.6
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	210.0	315.0	181,6
სხვა პროექტები	500.0	330.0	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	11,978.8	6518,9	0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის პირველადი განაწილება	10,585,0	5,776.6	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	256.0	256.0	0.0
გრანტები	1,000	0	0
სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება	137.8	486,3	0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს **1,500.0** ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის,

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წ.გეგმა
სხვა შემოსავლები	1316.8	2,305.0	1,500.0
შემოსავლები საკუთრებიდან	1024.3	2,120.0	1255.0
პროცენტები	24.7	100.0	40.0
რენტა	999.6	2,020.0	1,215.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	873.5	2,000.0	1,215.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	126.1	20.0	0
საქონლისა დამომსახურების რეალიზაცია	109,7	70.0	70.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	53,5	50.0	50.0
სანებართვო მოსაკრებელი	6,5	10.0	10.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.2	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის			



დასუფთავებისათვის	46.8	40.0	40.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	56.2	20.0	20.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	42.9	15.0	15.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	139.9	100,0	160.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 12750,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით	2022 წლის ფაქტი	2023 წლისგეგმა			2024 წლის პროექტი		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	9739,7	11644,6	311.8	11332,8	12750,4	0.0	12750,4
შრომის ანაზღაურება	2480.3	2854,9	0.0	2854,9	3018,0	0.0	3018,0
საქონელი და მომსახურება	943.3	1470,2	311.8	1158,4	1109,5	0.0	1109.5
პროცენტები	26.4	30,5	0.0	30,5	30.5	0.0	30.5
სუბსიდიები	5560,0	6434,9	0.0	6434,9	7510,0	0.0	7510,0
გრანტები	75.0	70.0	0.0	70.0	70.0	0.0	70.0
სოციალური უზრუნველყოფა	337.2	409,1	0.0	409,1	629,4	0.0	629,4
სხვა ხარჯები	317.5	375.0	0.0	375,9	383,0	0.0	383,0

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 956,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 1056.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების ზრდა	6914,0	12319,4	1,056,0



ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 100.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	854.9	406.7	100.0
ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	854.9	406.7	100.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3771,1	4936,8	4611,6
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3766,4	4931,8	4606,6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3762,5	4881,8	4556,6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	3,9	50,0	50,0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	4,7	5,0	5,0
70113	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	4,7	5,0	5,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0	0	0
702	თავდაცვა	161.7	188.4	0.0
	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	4223,9	8205,9	390,0
7045	ტრანსპორტი	4223,9	8205,9	390,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4223.9	8205,9	390,0
705	გარემოს დაცვა	1330,2	1312,3	2001,7
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1044,9	1209,0	1818,7



7052	ჩამდინარე წყლების მართვა	285,3	103,3	183,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1342,6	1928,4	1173,1
7061	ბინათმშენებლობა	0	0	0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება			
7063	წყალმომარაგება	35,1	57,2	47,1
7064	გარე განათება	674,1	602,4	570,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	633,4	1268,8	556,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	106,9	137,1	135,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	106,9	137,1	135,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1927,8	3230,1	1462,9
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1015,0	2196,9	365,6
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	796,2	882,6	939,7
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	72,0	75,0	75,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	44,6	75,6	82,6
709	განათლება	3,130.1	3299,9	3072.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	2,741.3	2806,3	3,072.0
7092	ზოგადი განათლება	388,8	493,6	0.0
710	სოციალური დაცვა	712.7	778.6	1,013.7
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	712,1	777,6	1012,7
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	0.6	1,0	1,0
	სულ	16707,0	24017,5	13860,0

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს ბიუჯეტის საოპერაციო სალდო - **756,4** ათასი ლარი ხოლო, მთლიანი სალდო -**1712,4** ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -**1766,0** ათ.ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა - **0.0** ლარის ოდენობით.

3. განისაზღვროს ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება **1766,0** ათ. ლარის ოდენობით.



ფინანსური აქტების კლება 1766,0 ათ. ლარი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშებზე 2024 წლის 1 იანვრისათვის არსებული თავისუფალი ნაშთიდან გადასახდელების დასაფინანსებლად მიმართული სახსრები.

მუხლი 12. ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება-53.6 ათასი ლარის ოდენობით. ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 53.6ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის” ფარგლებში 2018 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 168,5 ათას ლარს, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება114,9 ათასი ლარი.

თავი II

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები
მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,763.1ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება		2024 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	1,746.1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურა განვითარება	390,0
02 01 01	გზების შეკეთება/რეაბილიტაცია	390,0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	230,1
02 02 01	წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია	0
02 02 02	წყლის სისტემის მოვლა პატრონობა	47,1
02 02 03	საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის მოწყობა რეაბილიტაცია	183.0
02 03	გარე განათება	570,0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	570,0
02 05	კეთილმოწყობა	556.0

კოდი	პროგრამის დასახელება	წყლის სისტემების განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02			230,1
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური	
		მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს,	



პროგრამის აღწერა	ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან: - წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია; - წყლის სისტემის მოვლა-პატრონობა; წყლის სისტემების მშენებლობა - რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ანაზღაურდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯები. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე; წყლის სისტემების ექსპლუატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად;

კოდი	პროგრამის დასახელება	წყლის სისტემების მოვლა - პატრონობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02 02			47,1
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა) იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე მოაგარაკებისა და ტურისტებისათვის უწყვეტ რეჟიმში სასმელი წყლით მომარაგებას.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების გამართული ქსელის შენარჩუნება და მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით		

კოდი	პროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 03 01			570.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა) იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“		
	დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი		



პროგრამის აღწერა	ფუნქციონირებს ქ. დედოფლისწყაროში და 13 სოფელში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 4 070 სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა. გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები, ხმარდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების 4 070 სანათი წერტილის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას. გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დამის საათებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა; გარე განათების ქსელის ფუნქციონირების მიზნით მუნიციპალურ ბალანსზე არსებული განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება; მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება; პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების დროული აღმოფხვრა; მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 100%;

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **1,818.7 ათასი ლარი**. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება		2023 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,818.7
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,794.7
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა, განვითარება	24.0

კოდი	პროგრამის დასახელება	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
03 01			1,794.7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა) იპ„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“	
		პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“ ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 6 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომანქანა და 4 ერთეული თვითმცლელი. ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ დედოფლისწყაროდან და მუნიციპალიტეტის 13 სოფლიდან. შეგროვებული ნარჩენები გადის დედოფლისწყაროს ნაგავსაყრელებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 814 ერთეულს, მათ შორის 380 განთავსებულია ქ. დედოფლისწყაროში და 434 მუნიციპალიტეტის სოფლებში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 60-70 მ/კუბ ნარჩენი, ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენის მოცულობა.	

პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 241 628 მ² ქუჩების, 10 748 მ² ტროტუარების და 29 830მ² სკვერების დასუფთავება. პროგრამიდან ფინანსდება ქალაქის სასაფლაოს მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“-ს ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოვნები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს. პროგრამის ფარგლებში ქ.დედოფლისწყაროში, მიმდებარე სოფლებში (სამრეკლო,ხორნაბუჯი) ხორციელდება ქუჩებისა და ტროტუარების დასუფთავება, მერიის საკუთრებაში ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება. პროგრამის ფარგლებში სუფთავდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა სახელმწიფოებრივი გზები და კიუვეტები. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიიდან
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივი სუფთა გარემოს არსებობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიღწეული იქნება სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის მაღალი დონე. მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა;

კოდი	პროგრამის დასახელება	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
03 02			24.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა) იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება საშტატო ერთეულების ხელფასების დაფინანსება.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცეცხვითი სამუშაოები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში და პარკებში მოსახლეობისთვის სასიამოვნო, ჯანსაღი გარემოს შექმნა.		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **3,072.0 ათასი ლარი**. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი
04 00	განათლება	3072.0
04 0101	სკოლამდელი განათლება	3072.0
04 02	ზოგადი განათლება	0.0



04 0102	სკოლამდელი განათლება (არაფინანსური აქტივი)	0.0
---------	--	-----

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი განათლება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 01			3072.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრი		
პროგრამის აღწერა	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავ კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეისმდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 18 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1 000-მდე ბავშვი. მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის წარმართვას. ბავა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 252 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. სააღმზრდელოს ადმინისტრაციაში - 17.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ყველა ბავშვის უზრუნველყოფა საბავშვო ბაღის მომსახურებით, შესაბამის სააღმზრდელო პროცესით. სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვები მზაობა საშუალო განათლების მიღებისათვის. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები;		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **1462.9 ათასი** ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება		2024 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1462.9
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	365.6
05 01 01	სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა	365.6
05 01 01 02	სპორტული დარბაზების/მოედნების მშენებლობა, რეაბილიტაცია	0
05 01 01 03	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	365,6



05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	939.7
05 02 01	კულტურის სფეროს ორგანიზაციების ხელშეწყობა	939.7
05 02 01 08	ადმინისტრაციის ხარჯი	83.4
05 02 01 09	კულტურის სახლები	270.8
05 02 01 10	ბიბლიოთეკები	84.4
05 02 01 11	მუზეუმები	54.7
05 02 01 12	ძეგლთა დაცვის ხარჯები	9.5
05 02 01 06	ხელოვნების სკოლის ხელშეწყობა	198.7
05 02 01 07	პ. გონაშვილის ქართული გალობისა და სიმღერის სკოლის ხელშეწყობა	108.2
05 02 01 13	კულტურის ღონისძიებების ხელშეწყობა	130.0
05 05	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	82.6
05 04	პრესის მომსახურება (საზოგადოების ინფორმირებულობა)	75.0

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01 03			365.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრში, სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელებისთვის მონაწილეობას იღებს 41 თანამშრომელი, რომლის სახელფასო ფონდი შეადგენს- 207300 ლარს, კომუნალური ხარჯი-10000ლარი, საქონელი და მომსახურება-148300 ლარი. მუნიციპალიტეტის დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. ცენტრი უზრუნველყოფს სპორტული წრეების მუშაობას, 13 სპორტის სახეობის მიმართულებით, 15 სპორტულ ობიექტზე 20 მწვრთნელის მეშვეობით ვარჯიშობს 536 სპორტსმენი, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის 8-დან 20 წლამდე 500-მდე მოზარდს. სპორტული წრეები შემდეგი მიმართულებით ფუნქციონირებს: ფეხბურთი 5 წრე-115 სპორტსმენი, ჭიდაობა ძიუდო-2 წრე-78 სპორტსმენი, თავისუფალი ჭიდაობა-1 წრე-30 სპორტსმენი, ქართული ჭიდაობა-2 წრე-42 სპორტსმენი, კიკბოქსინგი-1 წრე-60 სპორტსმენი, უშუ სანდა-1 წრე-20 სპორტსმენი, ძაღლისმიერი სპორტი-1 წრე-20 სპორტსმენი, ფრენბურთი-1 წრე-30 სპორტსმენი, კალათბურთი-2 წრე-35 სპორტსმენი, მკლავჭიდი-1 წრე-30 სპორტსმენი, რაგბი-1 წრე-40 ბავშვი, მაგიდის ჩოგბურთი-1 წრე-20 ბავშვი, აგრეთვე გეგმავს და ახორციელებს სპორტულ ღონისძიებებს როგორც სამოყვარულო, ასევე პროფესიული სპორტის მიმართულებით. ცენტრი გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით და ხელს უწყობს მის დანერგვას და პოპულარიზაციას. ცენტრი ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს და ახორციელებს მათ დაჯილდოვებას, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ წრეებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც. 2021 წელს ჩასატარებელი ღონისძიებები :1. საქართველოს სასკოლო ოლიმპიადა-1800 ლარი 2. ევროპის სპორტის კვირეული-500 ლარი, 3. ზუნუ კობაიძის ხსოვნის ტურნირი ჭადრაკი-1000 ლარი, 4. მუნიციპალიტეტის პირველობა კალათბურთბურთში, ფრენბურთში, მინი ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, საჯარო სკოლების გოგონათა და ვაჟთა გუნდებს შორის-400 ლარი. 5. დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში, მკლავჭიდა და ქართულ ჭიდაობაში-1500 ლარი. 6. ვასიკო წიკლაურის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში-1000 ლარი. 7. დედოფლისწყარო - ქართული ჭიდაობა, მკლავჭიდი-300 ლარი. 8. ელიაობის		

	სახალხო დღესასწაული.რესპუბლიკური ტურნირიქართულ ჭიდაობაში-3000ლარი.9.ბიჭიკო ბუჩუკურის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში-1000ლარი.10.,„ფიროსმანობა“-სახალხო დღესასწაული-ქართული ჭიდაობა-300ლარი.11.ანზორ მარტყოფლიშვილის სახელობის ტურნირი ჭიდაობა მიუდოში-1000ლარი.12.ბიძინა მაზიაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა მიუდოში-1000ლარი,13.კახეთის ჩემპიონატი ძალისმიერ სპორტში-800ლარი.14.რესპუბლიკური ტურნირი უშუ -სანდაში-900ლარი.15.საერთაშორისო ტურნირი კინ-ბოქსინგში,,რინგის რაინდები-4000ლარი.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა.

კოდი	პროგრამის დასახელება	კულტურის ორგანიზაციების ორგანიზაციების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01			939,7
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი	
